სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/126

ქ. თბილისი

15 სექტემბერი 2026წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის აკადემიური დეპარტამენტის სახელის ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის თალიკო ჟვანიას 2026 წლის 15 სექტემბრის MES 1 26 0001226908 სამსახურებრივი ბარათის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (14.09.26 №15) და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 15 სექტემბრის №01-05-02/13 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე არსებულ სასწავლო ერთეულს - „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს“ შეეცვალოს დასახელება და ეწოდოს „ტელეკომუნიკაციის ინჟინერიის აკადემიური დეპარტამენტი“.
2. მოწონებული იქნეს ფაკულტეტის აკადემიური დეპარტამენტის სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტის საშტატო განრიგსა და დებულებაში.
3. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**